

შპს“კოლიერს ჯორჯია
- ველუეიშენ ენდ ედვაიზორი”

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. საქმიანობის უწყვეტობა.....	5
4. ამონაგების აღიარება	5
5. ხარჯების აღიარება	5
6. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	6
7. მოგების გადასახადი	6
8. ძირითადი საშუალებები	6
9. არამატერიალური აქტივები	7
10. აქტივების გაუფასურება	7
11. იჯარა	7
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
14. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	8
15. შენიშვნები	9
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	12

ფინანსური ანგარიშგება 31.12.2023 წ დასრულებული პერიოდისთვის

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	26 862	33 578
არამატერიალური აქტივები		51 282	56 980
აქტივის გამოყენების უფლება		26 566	136 567
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		104 710	227 125
მარაგები	4	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	107 827	15,477
გადახდილი ავანსები		-	8,813
საგადასახადო აქტივი		197 639	111,271
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	108 251	45,892
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები		413,717	181,453
სულ აქტივები		518,427	408,578
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		424,744	197,430
სულ კაპიტალი		425,744	198,430
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	9	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	5,351	61,176
მიღებული ავანსები		64,330	
აქტივის გამოყენების ვალდებულება		23,003	148,972
საგადასახადო ვალდებულებები			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		92,683	210,148
სულ ვალდებულებები დაკაპიტალი		518,427	408,578

დირექტორი

ლევან შალიკიანი

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი
მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
შემოსავალი	10	1 980 152	2 049 057
სულ საოპერაციო შემოსავალი		1 980 152	2 049 057
ხელფასის და პრემიის ხარჯი		(1 073 863)	(1 205 983)
საკონსულტაციო და იურიდიული მომსახურება		(39 074)	(105 448)
ლიცენზიის და ბრენდის სახელის გამოყენების უფლება		(38 993)	(50 786)
ტექნიკური მომსახურება		(22 658)	
დაზღვევა		(19 180)	(28 774)
ცვეთა		(12 414)	(14 726)
კომუნალური ხარჯი			(8 854)
სხვა ხარჯი		(123 965)	(2 822)
საოპერაციო მოგება	11	650 005	631 664
საპროცენტო შემოსავალი			
არასაოპერაციო შემოსავალი	12	15 036	2 822
კურსთაშორის სხვაობა			(6 970)
არასაოპერაციო ხარჯი		(69 728)	(52 874)
მოგება დაბეგვრამდე	13	595 314	574 642
მოგების გადასახადი			
ლივიდენდის გაცემა		(368 000)	(479 600)
წმინდა მოგება (ზარალი)		227 314	95 042

დირექტორი

ლევან შალიკიანი



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„კოლიერს ჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2016 წლის 19 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი. მისი ძირითადი საქმიანობაა უძრავი ქონების შეფასება და მასთან დაკავშირებული სხვა საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. შპს „კოლიერს ჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი“ მისი დედა კომპანიის - შპს „კოლიერს ჯორჯია“-ს სრულ საკუთრებაშია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

4. ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

5. ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

6. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

7. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასიცოცხლო პერიოდები:

- სამზარეულოს ინვენტარი 2 წელი
- კომპიუტერული ტექნიკა 3 წელი
- საოფისე ტექნიკა 3 წელი
- აიტი ინფრასტრუქტურა 5 წელი
- მანქანა-დანადგარები 5 წელი
- საოფისე ავეჯი და სხვა საინვენტარო ერთეული 7 წელი
- მწვანე ნარგავები 10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 15%-იანი წლიური განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე შანსი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

10. აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და

შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინაწლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

11. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდება როგორც გრძელვადიანი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

14. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 3
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	12/31/2023	12/31/2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	89,430	45,873
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	18,821	19
სულ	108,251	45,892

შენიშვნა 4
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები	107.827	15,477
გადახდილი ავანსები		
სულ	107.827	15,477

შენიშვნა 5

აქტივის გამოყენების უფლება	ოფისი	სულ
ბალანსი 31/12/2022	241 171	
დამატება		-
ბალანსი 31/12/2023	241 171	241 171
აკუმულირებული ცვეთა		-
ბალანსი 31/12/2022	(104 605)	(104 605)
პერიოდის ხარჯი	(110 000)	(110 000)
ბალანსი 31/12/2023		-
ნარჩენი ღირებულება	(214 605)	(214 605)
ბალანსი 31/12/2022		-
ბალანსი 31/12/2023	26 566	26 566

შენიშვნა 6

	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	სულ
ბალანსი 31/12/2022	37 359	78 107	115 466
დანამატები	-	-	
აქტივების ჩამოწერა			
გადაფასება			
ბალანსი 31/12/2023	37 359	78 107	115 466
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება			
ბალანსი 31/12/2022	(20 595)	(61 293)	(81 888)
ცვეთა პერიოდისათვის	(3 353)	(3 363)	(6 716)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	0
გადაფასება			
ბალანსი 31/12/2023	(23 948)	(64 656)	(88 604)
ბალანსი 31/12/2022	16 764	16 814	33 578
ბალანსი 31/12/2022	13 411	13 451	26 862

შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივი

	ვებსაიტი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31/12/2022	78 487	20 000	98 487
დანამატები			-
აქტივების ჩამოწერა			-
გადაფასება			-
ბალანსი 31/12/2023	78 487	20 000	98 487
აკუმულირებული ცვეთა			-
ბალანსი 31/12/2022	(33 786)	(7 721)	(41 507)
ცვეთა პერიოდისათვის	(4 470)	(1 228)	(5 698)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა			-
გადაფასება			-
ბალანსი 31/12/2023	(38 256)	(8 949)	(47 205)
წმინდა ღირებულება			-
ბალანსი 31/12/2022	44 701	12 279	56 980
ბალანსი 31/12/2023	40 231	11 051	51 282

შენიშვნა 8
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	5,351	61,176
მიღებული ავანსები	64,330	
სულ	69,680	61,176

შენიშვნა 10

ამონაგები

	12/31/2023	12/31/2022
შემოსავალი	1,980,152	2,049,057
სულ	1,980,152	2,049,057

შენიშვნა 11

საოპერაციო ხარჯები	12/31/2023	12/31/2022
ხელფასის და პრემიის ხარჯი	1,073,863	1,205,983
ტექნიკური მომსახურება	22,658	52,874
ცვეთა და ამორტიზაცია	12,414	14,726
კომუნალური ხარჯი	-	8,854
დაზღვევა	19,180	28,774
სხვა საერთო ხარჯი	202,032	331,630
სულ ხარჯი	1,330,147	1,642,841

შენიშვნა 12

არასაოპერაციო შემოსავალი	12/31/2023	12/31/2022
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	15,036	2,822
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	15,036	2,822

შენიშვნა 13

არასაოპერაციო ხარჯი	12/31/2023	12/31/2022
არასაოპერაციო ხარჯი	(69,728)	(59,844)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	(69,728)	(59,844)

მიმდინარე სასამართლო დავები

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 19 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ლევან შალიკიანი

